საგარეჯოს მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(17) 2012 წ. 1-15 თებერვალი ფასი 50 თეთრი

დიდთოვლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

სოფლებში მისასვლელი გზები აღდგენილია

4 თებერვალი 2012

დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზა გახსნილია სოფელ უდაბნოსა და კრასნაგორკაში. აღდგენილი გზების სანახავად ადგილზე იმყოფებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე შალვა ჯაბადარი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ამირან სონიშვილი და სოფელ კრასნაგორკის რწმუნებული გივი ლალიაშვილი.

დიდთოვლობა გრძელდება

8 თებერვალი 2012

დიდთოვლობამ კვლავ პრობლემები შექმნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.ღამით მოსულმა უხვმა ნალექმა ჩაკეტა სოფლებში მისასვლელი გზები, სატრანსპორტო მოძრაობა შეფერხდა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში, გადაადგილება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორხიდიანი და მაღალი გამავლობის ტრანსპოტისათვის.

დღეს, მთელი დღის განმავლობაში იწმინდებოდა ქ. საგარეჯოს ცენტრალური ქუჩები, სპეციალური ტექნიკა მობილიზებული იყო მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ამჟამად კვლავ მიმდინარეობს სოფლებში მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოები.სატრანსპორტო მოძრაობა შესაძლებელია ორხიდიანი და მაღალი გამავლობის მანქანებისათვის, რაც შეეხება მსუბუქ ავტომანქანებს, გადაადგილდებიან მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების საშუალებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

თათბირი

7 თებერვალი, 2012 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი უძღვებოდა. მან თათბირი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განხილვით დაიწყო და თითოეული ტერიტორიული ერთეულის დაფინანსება მიმოიხილა ამ კუთხით. როგორც მან თათბირის მონაწილეებს აუწყათ, მიმდინარე წლის დაფინანსება ამ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებლად 200 ათასი ლარითაა გაზრდილი.

– თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში დიდი პასუხისმგებლობით უნდა ჩატარდეს სასოფლო კრებები, რომლებზედაც სოფლების მოსახლეობამ უნდა გამოთქვას მოსაზრება, შეაჯეროს აზრი და სოფლის პრიორიტეტულ საკითხად ის მწვავე პრობლემა უნდა მიიჩნიოს, რომლის გადაჭრასაც მიმდინარე წლის გაზაფხულის პირველივე თვეებიდან შევუდგებით. მოსახლეობაში რეალურად უნდა იქნას გამოკითხული ყველა საკითხი, რომელიც მათ აწუხებთ, – თქვა ბატონმა გიამ.

თათბირზე, ასევე, განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც მოითხოვს დრმა შესწავლას, მაგრამ, ამასთან ითქვა იმ სასიხარულო პროცესებზე, რომლებიც უახლოეს მომავალში განხორციელდება. კონკრეტულად, როგორც ბატონმა გია ჩალათაშვილმა აღნიშნა, მოქალაქეს, რომელსაც 5 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობი აქვს ოჯახის საარსებოდ, რომელიც საგადასახადო ინსპექციის მიერ არის გაწერილი, ერიცხება გადასახადი, მიუხედავად საიჯარო ხელშეკრულების არსებობა-არარსებობისა, მას დაუკანონდება მიწის ფართობი 1 წლის განმავლობაში განვადებით გამოსყიდვის წესით, როგორც გაირკვა აღნიშნული ინიციატივა, მთავრობის წინაშე პრეზიდენტის რწმუნებულის კახეთის მხარეში, ბატონი გიორგი ღვინიაშვილის მიერაა დაყენებული.

საინტერესო იყო ბ-ნ გია ჩალათაშვილის მოწოდებული ინფორმაცია პროგრამა „გაიღიმეს“ შესახებ, რომლის მიხედვითაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღნიშნული პროგრამა მანავის საექიმო ამბულატორიაში განხორციელდება. პროგრამა „გაიღიმე“ ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, ეკონომიურად გაჭირვებული მოხუცებისათვის პირის ღრუს მოწესრიგება-პროთეზირებას, მკურნალობას. პროგრამა კახეთის რვა რაიონიდან ექვს ცენტრში განხორციელდება და ერთ-ერთი სწორედ მანავში იქნება, – აღნიშნა ბ-ნმა გია ჩალათაშვილმა.

ასევე, ინტერესით შეხვდნენ თათბირის მონაწილენი ინფორმაციას საერთო საცხოვრებელში დღემდე არაპრივატიზებული ბინების სიბოლურ ფასად – 1 ლარად პრივატიზების შესაძლებლობას. ასეთი მობინადრეები კი, როგორც აღმოჩნდა, საგარეჯოშიც მრავლად არიან, რადგან ზოგიერთს ბინის ორდერი დაკარგული აქვს, ან საერთოდ არ მიუციათ თავის დროზე.

მუნიციპალური გვერდი

უკანასკნელ ხანს საქართველოს ხელისუფლება და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე პროგრამების განხორციელებას, ამიტომ ყველა მუნიციპალიტეტშიც და მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელსაც გამგეობის ადგილობრივი ქონების მართვის განყოფილების ყოფილი უფროსი ალექსანდრე შათირიშვილი ჩაუდგება სათავეში. ■

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჭიაურელი** უძღვებოდა. მან დეპუტატებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა ნინო ქურხულმა.

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასისა და წლიური საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“. აღნიშნული საკითხის შესახებ საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ქ. საგარეჯოს ზონები, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“), ასევე, ამ კატეგორიის მიწებზე წლიური საიჯარო ქირა 1 კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით.

საკითხის „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები: საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის) ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დასაბეგრი ღირებულების 1%-ით განისაზღვრა. დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც შემდეგნაირად გაიზრდება მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებაში 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ, 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ, 2004 წელს მიღებულ აქტივებზე –1.5-ჯერ, იმ აქტივებზე, რომლის მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ. ასევე, საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის) ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების წლიური საბალანსო ნაშთის ღირებულების 1%; სალიზინგო კომპანიისათვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების 0.6 პროცენტი; რაც შეეხება ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია: 100 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.1%; 100 ათასი ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.9%.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე შემდეგნაირად განისაზღვრა: სათიბებზე (მათ შორის გაკულტურებული სათიბებისათვის) – 16 ლარი, საძოვრებზე (მათ შორის გაკულტურებული საძოვრებისათვის) – 10 ლარი, სახნავი და სხვა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე – 63 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ტერიტორიული კოეფიციენტი შეადგენს: ქ. საგარეჯოში 0.4-ს, სოფლებში: გომბორი, უჯარმა, ხაშმი, პატარძეული, წყაროსთავი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა,იორმუღანლო, ლამბალო, დუზაგრამა, თულარი, ბოგდანოვკა – 0.3-ს, სხვა სოფლებში და მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე – 0,2-ს.

რაც შეეხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი წელიწადში შეადგენს: ქ. საგარეჯოში – 0,096 ლარს, სოფლებში: გომბორი, სასადილო, უჯარმა, ხაშმი, პატარძეული, წყაროსთავი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი, დიდი ჩაილური, პატარა ჩაილური, კაკაბეთი, ვერხვიანი,ბადიაური,იორმუღანლო, ლამბალო, დუზაგრამა, თულარი, ბოგდანოვკა – 0,072, სხვა სოფლებას და მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე 0, 048 ლარს.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისათვის შესაბამისი ლიცენზიის

გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ობიექტების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 სექტემბრის №80 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და არასამეწარმეო იურიდიული პირის „სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-საადმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 სექტემბრის №78 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, განხილვის შემდეგ სხდომამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება თითოეულ საკითხზე.

სხდომაზე, ასევე, განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, რომელთა განხილვის შემდეგ ყველა განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სხდომას ესწრებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი ბეჟიტაშვილი. ■

გივი დაბასიშვილი
577-95-14-08

ტერიტორიული ერთეული

შიბლიანი და შიბლიანელები

უძველესი სოფლის დღევანდელობა

საადღეისოდ დაყოფას, დანაწევრებასა და მიგრაციის პროცესებს გადარჩენილი შიბლიანის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი 1200 ჰექტრამდეა. აქედან 110 ჰექტარი რქაწითელის და 10 ჰექტარი საფერავის ვენახებს უჭირავს. იორსგადმა ზეგანზე, „ალანდარაში“ 603 ჰექტარი სახნავ-სათესი აქვთ შიბლიანელებს, 220 ჰექტრამდე ივრის გამოღმა, სოფელ ბოგდანოვკის ბოლოში. დანარჩენი სათიბ-საძოვრებია ვენახებისა და ხენა-თესვის გარდა, მისდევენ მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, მეფრინველეობას, ერთი სიტყვით, ქართული სოფლის ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ.

– 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შიბლიანში 183 კომლი, აქედან 158 ძირითადი მაცხოვრებელია აღრიცხული – 570 მოსახლით, –გვიხსნის სოფლის რწმუნებული პაატა ჭამიაშვილი. გასული საუკუნის 50-60-იან წლებამდე, ვიდრე აქ მასობრივი მიგრაცია დაიწყებოდა, შიბლიანში 250-300 კომლ მოსახლეს ითვლიდნენ. უგზობა, გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები, შემოსავლის წყაროს ნაკლებობა აქაურ გლეხკაცობას აიძულებდა მასიურად აყრილიყვნენ მამაპაპეული ადგილებიდან და ბარში ჩასახლებულიყვნენ ახალი საარსებო წყაროს საძიებლად, რადგან მცირე მიწის ნაკვეთებიდან მოწეული მოსავალით, რომლებიც მათ კოლექტივიზაციის დროს დაურიგდათ, საკმარისი არ იყო თავისა და ოჯახის სარჩენად. მართალია, 80-იანი წლების დამდეგიდან აქ გატარდა რიგი ღონისძიებებისა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ზოგიერთი სულმოკლე შიბლიანელის ადგილზე დასამაგრებლად და მიგრაციის პროცესის შესაჩერებლად. ეს პროცესი კვლავ გრძელდებოდა და სამწუხაროდ, ამის თითოოროლა მაგალითი დღესაც გვაქვს. ისე, რომ ერთ დროს ხალხმრავალი სოფლიდან ერთი მესამედი თუღა არის დარჩენილი.

სადღეისოდ შიბლიანში ძირითადად ცხოვრობენ ძირკველიშვილები, ჭამიაშვილები, ხუროშვილები, სადუნაშვილები, ჩოკოშვილები, გელიკოშვილები, ნათენაძეები, ზირაქაშვილები, ხარატიშვილები. საგარეჯოში და სხვა რეგიონებში აქედან გადასახლებული არიან ბაზერაშვილები, მოსულიშვილები, აბესაძეები, კოლოტაძეები, ჯავახიშვილები და სხვები.

სოფელში მრავლად ყოფილა ქრისტიანული სალოცავები, რომელთაგან სადღეისოდ შემორჩენილია ღვთისმშობლის, კვირაცხოვლის, წმინდა თევდორეს,

ყველაწმინდის. აქედან სოფლის მოსახლეობის ძალებით აღდგენილია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მაღალ გორაკზე მდგარი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

სოფლის ისტორიული წარსულის დასტურად აქ მრავალი ადგილის ტოპონიმია შემორჩენილი, „საყარაულო გორა“, „თავდამყურე ციხე“, „თადიას გორა“, „ციხის ფერდა“, „ჯვარაგზა“, „ნაშარალი“, „ნაციხარი“, „სიძმარა“ და სხვა, სადაც მიწის დამუშავების დროს უამრავ არქეოლოგიურ მასალებს აწყდებიან აქაურები.

სოფლის ტერიტორიაზე უამრავი წყარო ყოფილა, საიდანაც სადღეისოდ 14-ია მოღწეული: „ღვინიას წყალი“, „წანწკარა“, ქულასხევის“, „ბაღის წყალი“, „ბაჩას ხევის“, „სიზმარას“, „კოდების“, „მეხების“, „ხარულელას“, „უძიროს“, „კუს წყარო“, „ბრმა წყარო“, „ყარალას ხევის“ წყლები და წყაროები.

სოფლის უხუცესი პედაგოგის ელენე ძირკველიშვილის მონათხრობით შიბლიანი არაშენდელი თავადების მალხაზ და ივანე ანდრონიკაშვილების საბატონო სოფელი ყოფილა. აქ მათ 20 კომლი ყმა-გლეხი, 9 წისქვილი და უამრავი სახნავ-სათესი ადგილი ჰქონიათ, რომლებიც მინდორ „ალანდარას“ გარდა დღევანდელი სოფელ ბოგდანოვკისა და ბადიაურის ტერიტორიებს მოიცავდა. კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდგომ დაარსდა ბადიაური. მისივე გადმოცემით, მის ბავშვობაში სოფლის დასავლეთით კიდევ ყოფილა შემორჩენილი შიბლიანიდან ჭერემის გზის გასწვრივ მიმავალი ციხესიმაგრის გალავნის ერთმეტრიანი კედ-

ლის ნანგრევები.

როცა ჭერემის ეპარქიის გაუქმების შემდეგ, შიბლიანის ღვთისმშობლის ეკლესია ნინოწმინდის ეპარქიას დაექვემდებარა, შიბლიანში მღვდლად ყოფილა აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის მამა, რომელიც შემდგომ ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიაში გადასულა სამუშაოდ, ისე, რომ მომავალ აკადემიკოსს თავისი ბავშვობის გარკვეული წლები შიბლიანში აქვს გატარებული. შიბლიანის ღვთისმშობლის ეკლესიის შესასვლელში დაფიქსირებული ყოფილა ოთხი უძველესი სამარხი რელიეფური გამოსახულებებით. აქვე დაუკრძალავთ ავლიპი ზურაბაშვილის მამაც. შიბლიანში პირველი სკოლის დაარსებამდე, ამ ეკლესიას აქაურთა სწავლა-განათლების ფუნქციაც ჰქონია დაკისრებული; აქ შიბლიანელებისათვის წერა-კითხვის სწავლება ყანდაურელ დიაკვანს ნიკო ფხალაძეს აუღია თავის თავზე. პირველი სკოლა კი 1924 წელს ხალხოსან ვანო სადუნაშვილსა და მის მეუღლეს ვარა სადუნაშვილს დაუარსებიათ.

ამ სკოლის სანაცვლოდ, დღეს შიბლიანში აქაური პატარების სწავლა-განათლების საქმეს საჯარო სკოლასთან ერთად ერთი საბავშვო ბაღიც ემსახურება. ეს საბავშვო-საადმზრდელო დაწესებულება ყოფილი მასწავლებლის სახლშია განთავსებული, რომელიც შეკეთდა, გალამაზდა და თანამედროვე დონეზე აღიჭურვა. 23 წელია ამ ბაღს სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს მენეჯერი ეთერ ყუშიტაშვილი. იგი უკვე 34 წელია პატარძეულიდან შიბლიანშია გამოთხოვილი და მრავალი აქაური ბავშვი ჰყავს აღზრდილი. სადღეისოდ საბავშვო ბაღში 8 აღსაზრდელია, აქედან 3 გამოსაშვები ასაკის, რომელთაც პედაგოგი თამარ ხუროშვილი ემსახურებათ. ამავე შენობაშია განთავსებული სოფლის ამბულატორია. ბადიაურელი მედიკოსი ცინარი აბესაძე ყოველ კვირაში ერთ დღეს აკითხავს შიბლიანელებს და უფასო სამედიცინო დახმარებას უწევს აქაურებს.

შიბლიანელთა სამსახურშია ოთხი სასურსათო მაღაზია, მარაგდებიან თხევადი აირით, აქვთ 24 საათიანი ელექტრომომარაგება.

– შიბლიანში ცხოვრება ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ დგება კალაპოტში, – გვითხრა სოფლის დეპუტატმა თენგიზ ძირკველიშვილმა, როცა სოფელს აქვს ნორმალური წყალმომარაგება, სინათლე, გზა, – ბარისა და ქალაქისაკენ აქაურობას შეჩვეული კაცი ისე ადვილად აღარ გაიხედავს. მე აქ გაზრდილ-დაბადებული ვარ და ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ არ დაინახოს ის სიკეთე, რაც ამ ბოლო ხანებში შიბლიანელებისათვის გააკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ. ამ საქმეთა შესრულებაში მეც მიმიძღვის მცირე წვლილი და ვიცი, რომ რაც გაკეთდა, ყველაფერი კარგია და ხარისხიანი. .გაკეთებით კი ამ ორ-სამ წელიწადში არც თუ ისე ცოტა რამეა გაკეთებული. მარტო ის რად ღირს, რომ შეკეთდა სოფლის ცენტრალური გზა და გაკეთდა მასზე გადასასვლელი კაპიტალური ხიდი, რომელსაც ვეღარაფერს დააკლებს ვერც წვიმა და ვერც ნიაღვრები. აქვე გაკეთდა დამცველი გაბიონები. ასევე, სოფელში გაკეთდა კვირაცხოვლის ვენახებში გადასასვლელი ბოგირი, გარემონტდა ყოფილი მასწავლებლის სახლი, სადაც საბავშვო ბაღმა და საქიმო ამბულატორიამ დაიდეს ბინა. მთლიანი რეაბილიტაცია გაუკეთდა სასმელი წყლის ჭაბურღილს, შეიცვალა წყალგაყვანილობის სისტემები. კვირაცხოვლის ხევზე მოეწყო დამცავი დამბები.

სოფლის პროგრამით გაკეთდა მუხისა და „კოდის“ წყაროები, რომლებიც ხალხის სასმელადაც ვარგისია და აქვე მოეწყო საქონლის დასარწყულებელი ავზები, ზაფხულში კი შესაძლებელია ვენახების წამლობისათვის საჭირო წყლის აღებაც..

ყველაფერი ამისათვის შიბლიანელები



დიდი მადლობლები არიან ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის და ვცდილობთ ჩვენი პატარა წვლილიც შევიტანოთ ჩვენი სოფლის საკეთილდღეო შრომაში.

არ ყოფილა არც ერთი ზემოთჩამოთვლილი სამუშაო, რომელშიც აქაურებს მონაწილეობა არ მიეღოთ, – გვიყვება სოფლის რწმუნებული პაატა ჭამიაშვილი, – გზების შეკეთების სამუშაოები იყო, გაბიონების მოწყობა, სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია თუ სხვა რამ, ისინი აქტიურად იღებდნენ მასში მონაწილეობას. ვისაც არ ეცალა – საკვებითა და სურსათით ამარაგებდნენ მშენებლებს.

ჩვენი ხიდის მშენებლები გაკვირვებულნი და გაოცებულნი წავიდნენ აქედან შიბლიანელთა მიერ მათ მიმართ გამოჩენილი ასეთი გულისხმიერების გამო. ასევე სოფლის მოსახლეობისა და ქველმოქმედი ადამიანების ძალებით შემოიღობა კვირაცხოვლის სასაფლაო, აღდგა ღვთისმშობლის ეკლესია. სოფლის აღმშენებლობისა და წინსვლის სამუშაოები არც ახლა წყდება. მართალია, ზამთარი და დიდი თოვლია, მაგრამ უკვე მიმდინარეობს შიბლიანის ახალი სკოლის ფუნდამენტის მომზადების სამუშაოები, რაშიც სოფლის მოსახლეობაც იღებს მონაწილეობას. ყველას სურვილია, რომ ეს სასწავლო დაწესებულება დათქმულ ვადებში – მიმდინარე წლის სექტემბერში ჩადგეს შიბლიანელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის სამსახურში.

უახლოეს ხანებში დაიწყება სოფლის გაზიფიცირების სამუშაოები, ისე, რომ იმედია, ჩვენი სოფელი მალე შეიძენს თანამედროვე სოფლისათვის დამახასიათებელ იერ-სახეს და იქნება საკურორტო სოფლადაც გადაიქცეს. თუ ასე მოხდა, ჩვენს ხალხს ნამდვილად აღარ გაუნდება ბარად გადასახლების სურვილი და პირიქით, უნდა ველოდოთ ხალხის მატებას.

ვნახოთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საქართველოს მთავრობას ქვეყნის აღმშენებლობის ისეთი კურსი აქვთ აღებული, რომ ეს დრო მგონი შორს აღარ არის.

მიმდინარე წლის წინასაახალწლო დღეებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ძირძველ ქართულ სოფელ შიბლიანში კიდევ ერთ მნიშვნელოვან და საშვილიშვილო საქმეს მოება თავი – 27 დეკემბერს დაიწყო ახალი, თანამედროვე სტანდარტების სკოლის შენობის მშენებლობა, რომელიც ძველი სკოლის

დასასრული მე-4 გვერდზე

მესამე გვერდიდან

ტერიტორიაზე აშენდება. შიბლიანელებისათვის ამ საინტერესო მოვლენას თვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაესწრო, რომელსაც ადგილზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და პარლამენტარი ზაზა გულიკაშვილი შემოუერთდნენ. ახალი სკოლის მშენებლობა ვის და რომელი სოფლის მცხოვრებლებს არ გაახარებს, მაგრამ ეს დღე ორმაგად სასიხარულო და საზეიმო იყო ყველა შიბლიანელისათვის, დიდისთვის და პატარისთვისაც, ამ მშენებლობის დაწყებას ხომ აგერ რამდენი წელია ელოდნენ აქაური მოსწავლეები და პედაგოგები.

სადუნაშვილების მიერ დაარსებული სკოლის შემდეგ ქვეყნის განვითარებისკვალობაზე 1924 წლიდან სკოლა გაფართოებულა და ჯერ არასრულ საშუალო სკოლად, უფრო მოგვიანებით, 2002 წელს კი საშუალო სკოლად ჩამოყალიბებულა, გვიყვება სკოლის დირექტორი დავით ხუროშვილი.

– ბატონო დავით, მანამდე სად იღებდნენ საშუალო განათლებას აქაური ახალგაზრდები?

– იმ პერიოდში, ანუ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სოფელში ისეთი კურსი იყო აღებული, რომ დაამთავრებდა თუ არა ახალგაზრდა 9 კლასს, ტექნიკუმებში აგრძელებდნენ სწავლას; საშუალო განათლების მიღების მსურველები კი, ვისაც სად და როგორ მოემართებოდა ხელი, იქ ამთავრებდა სკოლას, ნათესავებთან შეკედლებულები – მეზობელ სოფლებში, თბილისში, რუსთავში, რადგან შიბლიანიდან სხვა სკოლებში მგზავრობა ჩვენს პირობებშიც წარმოუდგენელია, არამც თუ იმ პერიოდში. სწორედ ამიტომ იყო, რომ იმ ხანებში სოფლებში საკმაოდ მცირე იყო უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი და მხოლოდ ამ ბოლო წლებში გაუმჯობესდა ეს მდგომარეობა.

– თუ არ ვცდები, 2002 წელს, როცა სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა, სკოლის დირექტორი თქვენ ბრძანდებოდით. აქედან გამომდინარე ყველაზე უკეთ თქვენ გეცოდინებათ, რა გახდა აქამდე არსებული სკოლის შენობის დაზიანების მიზეზი და რატომ შეწყდა იქ სასწავლო პროცესი?

– სკოლის აღნიშნული შენობა 1968 წელს აშენდა. იმ პერიოდში სოფელში ხალხის დიდი მიგრაცია იყო დაწყებული. უწყლობით, უშუქობით, უგზობით, უმუშევრობით შეწუხებულმა ხალხმა, რომელიც საარსებო ლუკმა-პურს ძნელად შოულობდა სოფლის კოლმეურნეობაში მუშაობით, ბარში მეზობელ სოფლებში ან რაიონულ ცენტრსა და დიდ ქალაქებში დაიწყო ჩამოსახლება.

ტერიტორიული ერთეული

შიბლიანი და შიბლიანელები

უძველესი სოფლის დღევანდელობა

სამწუხაროდ, ეს პროცესი ახლაც გრძელდება და თუ 1962 წლისათვის სოფელში აღრიცხული იყო 260 კომლზე მეტი, ამჟამად მხოლოდ 160 მუდმივი მცხოვრებიღაა.ჩვენი გამოთვლით შიბლიანიდან მარტო სოფელ ბოგდანოვკაში ჩასახლდა 100 კომლზე მეტი, კაჭრეთში – 50 და ა.შ.

ჩემი მოსაზრებით, მიგრაციის ასეთ ფონზე სკოლის მშენებლებმა საქმე მიაფუჩეჩეს, აქაოდა მალე შიბლიანში მოსახლე აღარ დარჩებაო. სხვანაირად ძნელია ახსნა მოუძებნო იმას, რომ ამხელა ორსართულიან შენობას, რომელიც რკინა-ბეტონის მრავალტონიანი ფილებითაა გადახურული, 60 სანტიმეტრი სიღრმის ფუნდამენტი ჰქონოდა. ეტყობა ჩატარებული არ იყო ნიადაგის გეოლოგიური გამოკვლევაც. აქ ძირითადად თიხნარი, მცოცავი მიწებია. ამის გამო, 1980 წელს სკოლას პირველი ბზარები გაუჩნდა და გამაგრების სამუშაოების ჩატარება დასჭირდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს სამუშაოები საკმარისი არ იყო და 1998-99 წლებისათვის იმდენად დაზიანდა კედლები, რომ საჭირო გახდა მისი რკინის სალტეებით შეკვრა, რაშიც რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი თენგიზ ოქროცვარიძე დაგვეხმარა. მაგრამ არც რკინის სალტეებმა უშველა საქმეს, კედლების რღვევის პროცესი კვლავ გაგრძელდა და 2007-2008 წლების ზამთარში შენობის ჩრდილო-დასავლეთის კედელი ისე დაიბზარა და იმდენად სერიოზული ვითარება შეიქმნა, რომ ამ შენობაში სასწავლო პროცესის ჩატარება სარისკო შეიქმნა. ამის შემდეგ რაიონული გამგეობისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით, სწავლა ჩვენს დღევანდელ ადგილსამყოფელში იქნა გადმოტანილი.

– სადღეისოდ რამდენ მოსწავლეს უხდება ამ შენობაში სწავლა-განათლების მიღება?

– ამ სასწავლო წლისათვის სკოლაში 73 მოსწავლეა, საიდანაც ცამეტი მეთორმეტეკლსელია, მაშინ, როცა ჩვენი სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთების დროისათვის, ანუ 2002 წლისთვის აქ 106 მოსწავლეს ვითვლიდით.

– თქვენი აზრით რას უნდა მიეწეროს მოსწავლეთა კონტიგენტის ასეთი კლება, – ისევ სოციალურ პირობებს, თუ სკოლის შენობის დღევანდელ მდგომარეობას?

– ამ მიზეზებს სოციალურს ვერ დავარქმევთ, რადგან ის, რაც ამ უკანასკნელ ხანებში შიბლიანში გაკეთდა და აშენდა, მთელი წინა 70 წლის მანძილზე არ გაკეთებულა. სოფელში სადღეისოდ საკმაოდ არის სასმელი წყალი, გაკეთდა მოასფალტებული გზა და მასზე გადასასვლელი ორი თანამედროვე ხიდი, არის 24 საათიანი ელექტრომომარაგება, დაწესებულია ყოველდღიური სამარშრუტო მიმოსვლა დედაქალაქამდე, გვაქვს თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი საბავშვო ბაღი, გაკეთდა სოფლის თავში სასმელი წყლის ჭაბურღილი და ახლა ყველა უბანში 50 მეტრის დაშორებით დაყენებულია ონკანები. ყველაფერი ეს რაიონის ხელმძღვანელობის, ჩვენი პარლამენტარის დახმარებით გაკეთდა, რისთვისაც შიბლიანელები დიდ მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ჭიაურელს, დეპუტატ ზაზა გულიკაშვილს. უფრო მეტის გაკეთებაა დასახული მიმდინარე წლისათვის. მათ შორის, როგორც ვხედავთ, ახალი სკოლაც შენდება და იმედია, მომდევნო უახლოეს წლებში ჩვენი მოსწავლეების კონტიგენტი საგრძნობლად გაიზრდება, რადგან ახლა ისინი სასწავლებლად სხვა ადგილებში არიან წასულები.

გია ჩალათაშვილი, ზაზა გულიკაშვილი და დიმიტრი შაშკინი შიბლიანის ძოძაური სკოლის გერიგორიის დათვალიერებისას

პედაგოგები: ფეოლინა ტარტარაშვილი და ელენე ჭამიაშვილი

– ბ-ნო დავით, როგორი იქნება შიბლიანის ახალი სკოლა, რომელზედაც თქვენ ასეთ იმედებს ამყარებთ და არც თუ ისე უსაფუძვლოდ. ჩემი მოსაზრებით, მისი ამოქმედება ხელს შეუწყობს არა მარტო შიბლიანიდან წასული მოსწავლეების სოფელში დაბრუნებას, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ამდენად სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესის ერთ-ერთი შემფერხებელი ფაქტორიც გახდება.

– შიბლიანის საჯარო სკოლის ახალი შენობა, რომლის საძირკველიც უკვე გაიჭრა, 125 მოსწავლეზეა გათვლილი. იგი ძველი სკოლის ეზოშივე აშენდება, რომლის ფართობი დაახლოებით 10000 კვადრატული მეტრი, ანუ 1 ჰექტარია. ასე, რომ საკმარისია არა მარტო ამ სკოლის შენობის ასაგებად, არამედ აქ სხვა საჭირო ნაგებობებისა და სპორტული მოედნების მოსაწყობად. სკოლის მშენებლობა, როგორც მოგახსენეთ, 27 დეკემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 15 აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს. მშენებლობას აწარმოებენ ტენდერში გამარჯვებული თბილისის შპს „ცივილკონსტრუქციონის“ მშენებლები, რომლებიც გვპირდებიან, რომ შენობა მოსწავლეთა მისაღებად დათქმულ ვადამდე იქნება მზადყოფნაში.

რაც შეეხება თვითონ სასკოლო შენობას, იგი იქნება თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი ერთსართულიანი შენობა, სადაც საკლასო ოთახებთან ერთად განთავსდება ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, კომპიუტერული კაბინეტი, კლას-კაბინეტები და სხვა. ერთი სიტყვით, ეს იქნება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სკოლა. მისი პროექტი აშენებამდე გაიცნეს შიბლიანელებმა და მათი დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

– ვინ აფინანსებს და რა დაჯდება ახალი სკოლის მშენებლობა?

– მშენებლობას მთლიანად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებს, რაც თანხებში 782 ათას ლარს შეადგენს.

– როგორ ფიქრობთ, აიტანს ეს ნიადაგი ახალი სკოლის სიმძიმეს, თუ ძველი სკოლის მსგავსად მომავალში მასაც იგივე ბედი ელის. ახლა თუ მაინც ჩატარდა ნიადაგის სათანადო გამოკვლევები საამისოდ?

– არა მგონია მსგავსი სიტუაცია მომავალშიც განმეორდეს, რადგან აქ ყველაფერი წინასწარაა გათვლილი და შესწავლილი. ისე, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ სასექტემბროდ შიბლიანელი მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს ახალ სასკოლო შენობაში, განსხვავებულ და სასიამოვნო გარემოში შეხვდებიან. ამისათვის მე მინდა ყველა შიბლიანელის, ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის, მათი მშობლებისა და პედაგოგ-მასწავლებლების სახელით წინასწარ დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს მთავრობას ჩვენდამი გამოჩენილი ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის. დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შიბლიანში ამ ბოლო წლებში განხორციელებული სამუშაოებისათვის. ამით ხომ მათ კიდევ ერთი დიდი აგური დადეს იმ მამულიშვილურ საშვილიშვილო საქმეში, რაც ამ უძველეს კახურ სოფელში ქართველი კაცის მყარად დამკვიდრებისა და ქართული ჯიშგენის აღმავლობისათვის ხორციელდება.



მომავალი საჯარო სკოლის მაკეტი

შიბლიანელი მოსწავლეები

გივი
დაბახიშვილი
577-95-14-08

ვინ იმარჯვებს: ხუციშვილი, პეტრიაშვილი, როსტიაშვილი თუ მრგოწონაშვილი?!



თემურ კურდღელაშვილი

საგარეჯოს აიპ კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორმა თემურ კურდღელაშვილმა, ამ დღეებში, როცა ამ სასპორტო დაწესებულების გასული წლის შედეგებზე ვსაუბრობდით, ერთი ფრიად საინტერესო განცხადება გააკეთა. თურმე ფალავნების აღზრდის ამ ძველთაძველმა კერამ თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს 4 ისეთი უძლიერესი ფალავანი აღუზარდა, რომელთაც ძალა შესწევთ ქვეყნის სახელის ნებისმიერი, უმაღლესი რანგის ასპარეზზე დაცვა და ასევე უმაღლესი შედეგებისათვის ბრძოლა. ესენი არიან ჩვენთვის კარგად ცნობილი მოჭიდავეები: ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი, უფროსებში 2011 წლის ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი დავით ხუციშვილი, ასევე გასული წლის საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში – ბექა პეტრიაშვილი, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში ზურა ერბოწონაშვილი და მათივე თანაგუნდელი თორნიკე როსტიაშვილი. ვინც კი აღნიშნული მოჭიდავეების შედეგები იცის, გასაკვირი არაფერი მოეჩვენება ამ ნათქვამში, მაგრამ საინტერესო და სენსაციური ისაა, რომ ოთხივე მათგანი მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილისა და ზაზა ლაფერიშვილის ნამოწაფარი და ძირითადად 74 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეა. ასე, რომ ამ წონაში ისინი, ახლა თუ არა, უახლოეს მომავალში მაინც ერთმანეთის მეტოქე-კონკურენტად მოიაზრება და ადვილი შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო ან ოლიმპიურ ასპარეზზე მათი მისასვლელი გზები გადაიკვეთოს. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასევე წარმატებულად გააგრძელებენ თავიანთ წინსვლას სპორტულ არენაზე, საამისო შემართება და მოწადინება რამდენადაც ვიცი, არც ერთ მათგანს აკლია. ვნახოთ, როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები, ან როგორ გაამართლებენ ისინი სპორტსკოლის თავკაცის ამ პროგნოზს! ჯერჯერობით კი, ეს შანსი მხოლოდ დავით ხუციშვილს გააჩნია, რომლისთვისაც ღიაა ლონდონის მომავალი ოლიმპიადის კარები.

რაც შეეხება სპორტსკოლის გასული წლის შედეგებს, როგორც ბატონმა თემურმა აგვიხსნა, შარშან აქ მოქმედებდა ძიუდოს, სამბოს, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის სექციები. აქედან მარტო თავისუფალი ჭიდაობის შემსწავლელ სექციებში 120-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის მოზარდი ყოფილა გაერთიანებული, რომელთა დაოსტატება-დახელოვნების საქმეს შვიდი მწვრთნელი-მასწავლებელი: რამაზ ასაბაშვილი, დავით ბაბუნიძე, კობა საგინაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, ზაზა ლაფერიშვილი და დათო ბუზარიაშვილი ემსახურება. მათი წვრთნა-მომზადება ძირითადად საგარეჯოს დაცვის პოლიციისა და სპორტსკოლის დარბაზებში მიმდინარეობს.

– ამაზე მეტი სექციაა ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობაში – ძიუდოში, რაც მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებს. მარტო საგარეჯოში, ძიუდოს სპორტდარბაზში ოთხი სექციაა გახსნილი, – თქვა სპორტსკოლის დირექტორმა, – სადაც პატარა გარეჯელი ძიუდოისტების აღზრდის საქმეს მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი, კახა ყორღანაშვილი და ბადრი ბასილაშვილი უძღვებიან. ძიუდოს შემსწავლელი სექციები ასევე მოქმედებს გიორგიწმინდაში (მწვრთნელი გოჩა მეკოკიშვილი), ჩაილურში (მწვრთნელი თემურ როსტიაშვილი, როლანდ ავღნიშვილი), კაკაბეთში (გიორგი მასურაშვილი), ნინოწმინდაში (გელა მანძულაშვილი), პატარძეულში (ტრისტან და ლუხუმ სუხაშვილები), უდაბნოში (ბეშქენ გულბანი).

რამაზ ასაბასვილი თავის აღსაზრდელებთან

რაც შეეხება ჭადრაკსა და მძლეოსნობას, სპორტის ეს სახეობები ძირითადად საგარეჯოშია წარმოდგენილი. აქედან ჭადრაკის ერთი სექციაა სპორტსკოლაში (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი), ერთი ქალაქის მერიის შენობაში (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) და ერთიც საგარეჯოს I საჯარო სკოლაში (თენგიზ კობიაშვილი) მოქმედებს. მძლეოსნობის სექცია კი საგარეჯოს სტადიონზეა, სადაც ამ სახეობაში მომავალი საგარეჯოელი სპორტსმენების აღზრდას გივი გრატიაშვილი ემსახურება.

– ბატონო თემურ, მართალია ამის შესახებ თავის დროზე დაიწერა რესპუბლიკური სპორტული პრესის ფურცლებზე, მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის წარმატებები, რასაც თქვენმა აღსაზრდელებმა გასულ წელს მიაღწიეს და მათი დათვლა ისევ თავისუფალი ჭიდაობით და დავით ხუციშვილის მიღწევებით დავიწყოთ.

– როგორც ყველასათვის ცნობილია, 2011 წელი, ჩვენი მოჭიდავისათვის, რომელიც სულ ახლახანს გადავიდა ახალგაზრდებიდან უფროს ასაკში, არცთუ ურიგო შედეგებით აღინიშნა. მან ჯერ ევროპის პირველობაზე იზეიმა მესამე პრიზიორობა, შემდეგ კი სტამბოლში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გახდა ბრინჯაოს პრიზიორი, რითაც ლონდონის მომავალი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა. მანამდე მან მოიგო ბაქოში მსოფლიო თასად წოდებული გრან-პრი. ამავე დროს, ოქროს მედალთან ერთად იგი აზერბეიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ნაჩუქარი ოქროს საათისა და სოლიდური ჰონორარის მფლობელიც გახდა.

ამ ჯილდოების მიღებამდე დათომ კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის მოგებაც მოასწრო, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა საქართველოს ნაკრებში 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლიდერის ადგილი.

როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნეთ, გასული წელი მნიშვნელოვანი წინსვლით აღინიშნა თავისუფალ ჭიდაობაში სპორტსკოლის მეორე აღსაზრდელის, 74 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავე ბექა პეტრიაშვილისათვის. შარშან იგი ჯერ ბათუმში გამართული საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, შემდეგ კი სერბეთის ევროპის პირველობის პრიზიორობა იზეიმა. ბათუმშივე იზეიმა საქართველოს ჩემპიონობა ახალგაზრდებს შორის 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლევან როჭიკაშვილმა. ჭაბუკებში (1994-1995წწ) საქართველოს ჩემპიონი გახდა გიორგი პასიკაშვილი (42კგ).

ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონი გახდა 84 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავე ბექა როჭიკაშვილიც. ამას გარდა, მან და გიორგიმ შეძლეს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის მოგება, თუმცა საპრიზო ადგილების გარეშე დაგვიბრუნდნენ ევროპისა და მსოფლიო ასპარეზობებიდან. უნდა ითქვას ისიც, რომ გიორგის ასაკის გამო, კიდევ ორჯერ აქვს შანსი ამ ასაკში შეჯიბრებებში იასპარეზოს.

2011 წელი საქართველოს ვერცხლის პრიზიორობით აღნიშნა ზურა ერბოწონაშვილმა. ჭიდაობის ამავე სახეობაში სხვადასხვა რესპუბლიკური ტურნირის პრიზიორები გახდნენ: გიორგი ბეჟიაშვილი, შალვა შათირიშვილი, გიგა შიოშვილი, მიშიკო და ლევან ბოჭორიძეები, მიხეილ მამუკაშვილი და სხვები.



ნუკრი გაგნიაშვილი

– ეს ბოლო 4-5 წელია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ჭიდაობის ოლიმპიური სახეობის – ძიუდოს პოპულარიზაციისა და აღორძინებისათვის. მწყობრში დგება სულ ახალი და ახალი დარბაზები, შემოტანილია ტატამები და სხვა ინვენტარი, რასაც თავისი შედეგებიც ახლავს. თუ არ ვცდები, მარტო გასულ წელს, სამი საგარეჯოელი ძიუდოისტი: ვანო მამისაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი და ზაზა ხუბულური აყვანილი არიან ჭაბუკებში საქართველოს ნაკრების პირველ ნომრებად. როგორი იყო მათთვის აქეთკენ მიმავალი სპორტული გზა?

– მათთვის ეს გზა იოლი სულაც არ ყოფილა და მხოლოდ თავიანთი ყოველდღიური დაძაბული შრომით გაიკვლიეს სავალი. რაც შეეხება გასულ წელს, გარდა იმისა, რომ მათ იზეიმეს საქართველოს ჩემპიონობა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებში. აქედან ვანო მამისაშვილისათვის ყველაზე დიდი წარმატება კუნძულ მალტაზე ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ჩემპიონის ტიტულია ჭაბუკებში. თამაზ კირაკოზაშვილი გახდა ევროპის ვერცხლისა და ევროპის ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორი ჭაბუკებში.



საქართველოს ჩემპიონობით აღნიშნა გასული წელი ზაზა ხუბულურმა.

სამწუხაროდ, მათთვის უიღბლო გამოდგა მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკებში, საიდანაც ისინი უმედლოდ დაგვიბრუნდნენ.

– როგორც თავის დროზე ლაპარაკობდნენ, ევროპის პირველობასა და ფესტივალზეც კირაკოზაშვილი უფრო მაღალ, ჩემპიონის ტიტულებს იმსახურებდა, მაგრამ მსაჯებმა ეს შესაძლებლობა აშკარად გამოგლიჯეს ხელიდანო...

– მართალია ამ საქმეს ახლა არაფერი ეშველება, მაგრამ ეს ნამდვილად ასე მოხდა. ჯერ იყო და მალტაში ევროპის ჩემპიონატის ფინალში მაგომედოვთან აშკარა მოგებისას გამოაცალეს ხელიდან მსაჯებმა თამაზს ოქრო, მერე ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე სრულიად უსაფუძვლოდ დაჩაგრეს ისრაელის წარმომადგენელთან. ისე, რომ, ოქროს ნაცვლად მხოლოდ ბრინჯაოს მოპოვებადა შეძლო. ამ ყველაფრისათვის მე საკუთარი თვალით მაქვს ინტერნეტში ნაყურები და ყველამ, ვინც ნახა ეს გადაცემები, აღშფოთებას ვერ მალავდნენ მსაჯების ამ აშკარა არაობიექტურობაზე.

– ვანოს, ზაზასა და თამაზის გარდა, საქართველოს ძიუდოს ახალგაზრდულ ნაკრებში მგონი კიდევ რამდენიმე საგარეჯოელი ახალგაზრდაა შეყვანილი, არა?

– კი, ესენი არიან საქართველოს მესამე პრიზიორები ზაურ მამარდაშვილი და ზაზა როსტომაშვილი. მათ გარდა გვყავს ბევრი პერსპექტიული კიმანოსანი, რომლებსაც ჭაბუკთა მომავალი ჩემპიონატისათვის ვამზადებთ. აქვე მინდა დავძინო, რომ ძიუ-დოს გარდა ჩვენი ფალავნები სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში გამართულ ასპარეზობებშიც იღებენ მონაწილეობას და ამ სახეობებშიც გვყავს ქვეყნის ჩემპიონებიც და პრიზიორებიც.

– გავიგეთ, რომ ძიუ-დოს პოპულარიზაციის მიზნით 2011 წელს

დასასრული მე-6 გვერდზე

დავით ბაბუნიძე თავის აღსაზრდელთან

ვინ იმარჯვებს: ხუციშვილი, პეტრიაშვილი, როსტიაშვილი თუ მრგოწონაშვილი?!

დასასრული

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაგიდგამთ, ცნობილი ქართველი ბორჯღალოსნის დავით ზირაქაშვილის მშობლიურ სოფელ ბოგდანოვკაში ამ ჭიდაობის შემსწავლელი სექცია გაგიხსნიათ.

კახა ყორღანაშვილი

– ეს სექცია სულ რაღაც სამი თვეა ავამოქმედეთ ბოგდანოვკაში. ამ საქმეს აქაური ახალგაზრდა სპორტსმენი სოსო ჭიკაძე ჩაუდგა სათავეში. იგი გულმოდგინედ შეეჭიდა ამ საქმეს და იმედია მალე აქედანაც წამოვა ახალი შევსება. გარდა ამისა, ამ საშობაო არდადაგებზე ჩვენ გვესტუმრნენ თბილისის ვარკეთილის სპორტულ ბაზაზე მყოფი საბერძნეთის ქალაქ სალონიკის რვა ძიუ-დოისტი, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ჩვენი ცნობილი ძიუ-დოისტის ჯარჯი ზვიადაურის (ილიას ილიადისის) მწვრთ-

ელენე ფარეშიშვილი და ნანი უნაფქოშვილი

ნელის ძმის – მერაბ ილიადისის ხელმძღვანელობით. ჩვენ აქ, საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ერთობლივი ძალებით ჩავატარეთ სამი ერთობლივი წვრთნა-შეხვედრა, რაც ჩემი აზრით მეტად მომგებიანი იქნება ორივე მხარისათვის, როგორც ჩვენთვის, ისე ბერძნებისათვის და ამასთან ხელს შეგვიწყობს საწვრთნელ საქმიანობაში გამოცდილების გაზიარებისა და სიახლეების დანერგვის საქმეში.

– ჭიდაობის სხვა სახეობებთან ერთად წარმატებები შარშან ჩვენმა სამბისტებმაც იზეიმეს, კერძოდ უშანგი კუზანაშვილმა და დავით სვიმონიშვილმა, თუ კიდევ გვყავდა ამ სახეობაში გამორჩეული ფალავნები?

– არა, გასული წელი მხოლოდ ამ ორი ფალავნისთვის იყო წარმატებული. უშანგი კუზანაშვილმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ტიტული, ახალ 57 კგ წონით კატეგორიაში. ასევე მოგებული აქვს მოსკოვის იური ხარლამპიევის ტურნირი, მინსკში ბელორუსიის პრეზიდენტის თასი და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი, რაც შეეხება სიმონიშვილს, 2011 წლის საქართველოს ჩემპიონია.

– ბრძენთა თამაშის ჭადრაკის შესახებ რაღას გვეტყვით, როგორია აქ მოპოვებული შედეგები?

– 2011 წელი ჩვენმა მოჭადრაკეებმა მნიშვნელოვანი მიღწევებით გააცილეს. ჩვენი ცნობილი მოჭადრაკე ნანი უნაფქოშვილი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა 16 წლამდე მოჭადრაკეთა შორის, ხოლო 18 წლიანებში ბრინჯაო მოიპოვა. მართალია, მას არ გაუმართლა ევროპასა და მსოფლიოზე, მაგრამ იმედია ამ დანაკლისს მომავალში „აინაზღაურებს“.

წამოვიდა საქართველოს ჩემპიონატებსა და ტურნირებზე გამარჯვებულ თუ პრიზიორ საგარეჯოელ ნორჩ მოჭადრაკეთა ახალი თაობა: ლალი გარსიაშვილი, ეთუნა ხებრელაშვილი, ნიკა კევლიშვილი, ლუკა გურჯიძე, ლევან დალბაშვილი, ერეკლე კავთუაშვილი, ნინო მელაშვილი, ირაკლი მატიაშვილი და სხვები, რომლებიც თავიანთ სიტყვას უსათუოდ იტყვიან ახლო მომავალში სპორტის ამ პოპულარულ სახეობაში.

წარმატებებს ველით ჩვენი მძლეოსნებისგანაც, რომელთაც რაღაც ორი წელია განაახლეს ვარჯიშები და ჯერჯეობით ამ სექციაში 20 ბავშვი მეცადინეობს.

– რას გვეტყოდით სკოლის სამომავლო 2012 წლის გეგმებზე?

– გეგმები რა თქმა უნდა ერთია – უფრო მეტის გაკეთება და მიღწევა, ისე, რომ ეს წელი წინას დაემჯობინოს.

– როგორც საგარეჯოელი და სერიოზული სპორტული დაწესებულების ხელმძღვანელი, რას უსურვებდით ჩვენს სპორტსმენებს?

– რა თქმა უნდა ყოველივე კარგს, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას, აკვნების სიმრავლეს, ქვეყნის გამთლიანებას, წინსვლასა და ახალ-ახალ წარმატებებს საგარეჯოსა და მთელი ქვეყნის სასიკეთოდ.

საახალწლოდ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სასტუმრო „რედისონში“ დაასახელა 2011 წლის ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, რომელთა ათეულში ჩვენი ძიუდოისტი ვანო მამისაშვილიც მოხვდა. ამაზე ადრე, უფროს ასაკში ათეულში დასახელდა დავით ხუციშვილი. ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სპორტსმენის, ყველა მწვრთნელ-მასწავლებლის შრომის კიდევ ერთი დიდი დაფასებაა და ვეცდებით ამ წელშიც არ დავრჩეთ ვალში ქვეყნისა და ქართველი ხალხის წინაშე. ხოლო თუ როგორ ჩაივლის ჩვენი ეს მცდელობა, მომავალი გვიჩვენებს.



თამაზ კირაკოზაშვილი



ზაზა როსტომაშვილი

ივანე მამისაშვილი

ირაკლი კუპატაძე

წლის პირველი ასპარეზობა საგარეჯოში

საგარეჯოელი ძიუდოისტები კახეთის ნაკრებში

20 იანვარს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა კახეთის რეგიონული პირველობა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ჭიდაობა ძიუდოში. ასპარეზობა, ჭიდაობის ამ ოლიმპიური სახეობის შემდგომ პოპულარიზაციასთან ერთად, მიზნად ისახავდა კახეთის რეგიონული ნაკრებისათვის კანდიდატების შერჩევას, რომლებიც შემდგომ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირველობაში. აქედან გამომდინარე, შეჯიბრებაში მხარის ყველა იმ მუნიციპალიტეტის მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას, სადაც ჭიდაობის ეს სახეობაა დანერგილი.

ერთდღიანი შეჯიბრების შემდგომ გამოვლინდნენ პირველობის გამარჯვებულნი და პრიზიორები, რომლებიც შეყვანილი იქნებიან რეგიონალურ ნაკრებში. საგარეჯოელი ძიუდოისტებიდან ეს პატივი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოიპოვეს: ჭაბუკებში 1996-97 წლიანებში: ირაკლი კუპატაძემ, – რომელიც ჩემპიონი გახდა 50 კგ წონით კატეგორიაში.

55 კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა და ნაკრების კანდიდატობა გაინაღდა ოთარ კაციაშვილმა. ამავე წონაში მესამე ადგილი გაიყვეს ვახტანგ უსტიაშვილმა და ვასიკო მათიაშვილმა.

60კგ წონით კატეგორიაში საფინალო ორთაბრძოლა ორ საგარეჯოელს – კობა მჭედლიშვილსა და დათო წიკლაურს შორის გაიმართა, სადაც პირველმა მათგანმა იმარჯვა.

66 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი სიმონ მამარდაშვილი გახდა. 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს შესაბამისად თამაზ კირაკოზაშვილმა და ნიკა მოველიძემ.

სამი პირველი, ერთი მეორე და ოთხი მესამე ადგილით აღნიშნეს ჩვენმა ძიუდოისტებმა ახალგაზრდებში (1993-95წწ) თავიანთი გამოსვლა. აქ პირველ, – დაწყებით 55 კგ წონით კატეგორიაში პირველ-მეორე ადგილები ორ საგარეჯოელს შორის გათამაშდა. ფინალში ერთმანეთის პირისპირ გიორგი გრატიაშვილი და გიორგი კუპატაძე აღმოჩნდნენ, სადაც პირველმა მათგანმა იმარჯვა.

60 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ზაზა როსტომაშვილი იყო. ამავე წონაში მესამე პრიზიორი კიდევ ერთი საგარეჯოელი ძიუდოისტი, შარშანდელი ევროპის პირველობის გამარჯვებული ვანო მამისაშვილი გახდა.

ჭაბუკებში 73 კგ წონით კატეგორიაში ხელიდან გაშვებული პირველი ადგილი, ახალგაზრდებში იმავე წონაში აინაზღაურა თამაზ კირაკოზაშვილმა. მან უხარვეზოდ ჩაატარა ამ წონაში თავისი ყველა შეხვედრა, ზედიზედ 4 მოგება ჩაიწერა თავის აქტივში და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. ამავე წონაში მესამე ადგილები გაიყვეს ვანო როსტიაშვილმა და ლევან მეფარიძემ. 81 კგ წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა ზაურ მამარდაშვილმა.

ყველა პრიზიორი შეყვანილია კახეთის ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობაში.

„მართალთა შინა ფიალში“

გელა შაქარაშვილი

ჩვენი კლასის ბიჭებიდან პირველმა შენ ჩაიცვი ჯარისკაცის ფორმა, ჩვენო გელა. სულ ექვსი თვის ნამსახურები გქონდა ქართულ გვარდიაში და 1993 წლის 14 სექტემბერს ქართული მიწის დაცვისას, ტამიშთან ჩაქრა შენი სიცოცხლე. მას შემდეგ 18 წელზე მეტი გავიდა. ვერ ვივიწყებთ შენს სახელს, გელა. ახლაც, 19 თებერვალს 37 წელი გისრულდება – სამშობლოსათვის თავგანწირულ, უცოლშვილოდ გადაგებულ ბიჭს.

არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო გელა, ყოველთვის სიამაყით გავიხსენებთ შენს სახელს.

საგარეჯოს II საშუალო სკოლის 1991-1992 წლების კურსდამთავრებულები.

2008 წლის აგვისტოს ომში გვირგვლად დაღუპული

გია კირაკოზაშვილი

გია, ჩემო სიცოცხლეზე თვალდარჩენილო, ჩემო უდროოდ გულისცემაშეწყვეტილო შვილო, გილოცავ შეუსრულებელ დაბადების 37-ე წელს, რა ხანია შენზედ არაფერი დამიწერია. რა ვქნა, შვილო, ხელი გონებას არ ემორჩილება, გული კიდევ სხვა რამეს ამბობს... გიკვირს, ალბათ ამდენი ხანი დედამ შენზე რომ არაფერი დაწერა. იმდენი რამ გააკეთე, შვილო, რომ შენზედ ყოველთვის შეიძლება რამის დაწერა. იცი, რა ძნელი ყოფილა, შვილო!.. მენატრები, ტკივილამდე მენატრები, შვილო, დრო მიდის, მონატრება ძლიერდება, ტკივილი კი ღრმავდება.

სახელს ვერ ვპოულობ, არ ვიცი, რა ჰქვია შვილმკვდარი მშობლის მწუხარებას, ალბათ ეს არის „უკურნებელი სენი“, მშობლის გულსა და გონებას რომ დაჰპატრონებია და ხრავს, თანაც დაგამუნჯებს, დაგაყრუებს და გაგოელავს. ისიც მართალი ყოფილა: ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, ის სხვის მშობელს სამძიმარს ვერ ეტყვისო.

ჩემო უსაყვარლესო შვილო, დედა კვდება მაშინ, როცა შვილი უკვდება. მე მაშინ მოვკვდი, როცა შენ წახვედი ამქვეყნიდან, მაგრამ ვსულდგმულობ, მხოლოდ შენთან შეხვედრის მოლოდინით, მერე სულ შენთან ვიქნები, ამქვეყნად კი დარჩება შენი ორი ვაჟკაცი – ოთარ და ნიკოლოზ კირაკოზაშვილები, რომლებიც სულ შენს ხსენებაში არიან, დარჩება შენი ქალიშვილი, რომელიც ამბობს: მამა რომ დაიღუპა მე მერე დავიბადეო. დარჩება კიდევ შენი წმინდა საფლავი. შენ ვერასოდეს შემოაღებ შენი ეზოს კარს, შვილო.

საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყავი, ყველა გიყვარდა, დიდი მიმტევებელი იყავი, შვილო, სიტყვის კაცი იყავი, წყენას არასოდეს ჩაიდებდი გულში, სხვების წარმატება გიხაროდა, შური რა იყო, არ იცოდი, ყოველთვის ამაყობდი შენი მშობლებით, დებით და შვილებით.

ეხ, შვილო, როგორ გიყვარდა შენი საქართველო, ყველას სიამაყით უყვებოდი სხვადასხვა ისტორიებს და ამბობდი: ომი გარდუვალია, აუცილებლად მოხდება, მერე გამოჩნდება, ვინ ვაჟკაცია და ვინ ლაჩარიო. მართლაც, 2008 წლის 9 აგვისტოს, ღირსეულად დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე. „საქართველო გმირების სამშობლოა, შენ ხარ “საქართველო“, შვილო, შენს სახელს დავიწყება არ უწერია!

მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის, მადლობა უფალს, რომ შენ იყავი ჩვენთან და ჩვენთვის, როგორც სიმბოლო და ორიენტირი ღვთისკენ მსწრაფველი სულისა.

გია, შვილო, მადლობა, რომ სიზმრად მოდიხარ და მანუგეშებ: „მე ცოცხალი ვარ“, დიდსულოვანი ვაჟკაცი იყავი და ასეთად დარჩი მანდაც, საუფლოში.

უდიდესი მადლობა, შვილო, რომ სიკვდილი გამიადვილე!!!

შენთან შეხვედრის მომლოდინე დედა

ნანი (დალი) კირაკოზაშვილი

გამოსათხოვარი

თამილა ქაიხოსროშვილი

დადიოდა ქალაქის ქუჩებში ერთი მშვენიერი ქალბატონი და თავისი არსებობით შნოსა და ლაზათს მატებდა ჩვენს პატარა ქალაქს. მერე მანაველთა რძალიც გახდა და ოჯახურმა ბედნიერებამ კიდევ უფრო მეტად დაამშვენა „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“.

მისი ცოდნა, განათლება და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველკეთილი იწვევდა მეგობრების, კოლეგების, მრავალრიცხოვანი მოსწავლეებისა და მათი მშობლების აღტაცებასა და უზომო პატივისცემას. ეს ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ქალბატონი თამილა ქაიხოსროშვილი იყო.

დღეს უკვე წარსულში ვლაპარაკობთ იმ ადამიანზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ გვერდით იდგა, ჩვენთან ერთად წუხდა და ჩვენთან ერთად უხაროდა. დიახ, საკუთარმა დიდმა ტკივილმა და მწუხარებამ ვერ წაართვა სხვისი წარმატებით, სიხარულითა და ბედნიერებით გახარების უნარი. ოდესღაც ხომ თვითონაც უბედნიერესი დედა და მეუღლე იყო! მაგრამ ეს სოფელი დიდხანს ძალიან ცოტას ახარებს და მისთვისაც დრო პირველად მაშინ გაჩერდა, როცა სრულიად მოულოდნელად უსაყვარლესი მეუღლე გამოეცალა ხელიდან. ფრთამოტეხილმა, ცალუღელად დარჩენილმა დედამ ღირსეულად ზიდა უმძიმესი ტკივილიანი ტვირთი, რომ დაობლებული შვილებისათვის უმამობა არ ეგრძნობინებინა, ორივე გზაზე დაეყენებინა და როცა თავისი დედური ვალი პირნათლად მოიხადა, სწორედ მაშინ მეორედ დაატყდა თავს უდიდესი უბედურება – დაკარგა თავისი საფიცარი ზაზა და მასთან ერთად დამთავრდა მისთვის ყველაფერი. ამ გაუსაძლისმა ტკივილმა და მწუხარებამ შეიწირა მისი ჯანმრთელობა.

ტყუილად არ უთქვამთ: წაქცეული ხე უფრო ზუსტად აიზომებაო. გარდაცვალება თვალნათლივ აჩვენებს მიცვალებულის პიროვნულ სიმაღლეს, სიძლიერესა და ზნეკეთილობას.

მიუხედავად მოუშუშებული ტკივილისა და დარდისა, რომელსაც გულით ატარებდა თავისი მოვალეობისათვის არასოდეს უღალატია. უყვარდა სკოლა, ბავშვები და თავისი საქმე, რომელსაც უდიდესი სიყვარულითა და უმაღლესი პროფესიონალიზმით აკეთებდა. იყო მზრუნველი დედა, ბებია, ამხანაგი და მეგობარი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების წლები პატიოსნად და პირნათლად იცხოვრა და ახლობლების, თანამშრომლებისა და მრავალრიცხოვანი აღზრდილების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

არ გვემეტები, ჩვენო თამილა. ქედს ვიხრით შენი პიროვნული სიმაღლისა და სიძლიერის წინაშე! დარდითა და ტკივილით სავსე მიდიხარ, შვილებსა და შვილიშვილებზე თვალდარჩენილი. იქიდან ილოცე მათი ბედნიერებისათვის. გვეიმედება, რომ შენ უსაყვარლეს ადამიანებთან დაივანებ, სასუფევლისაკენ სავალ გზას კი შენი ახლობლების ლოცვა, სიყვარული და ანთებული სანთლები გაგინათებენ. უფალი გფარავდეს.

საგარეჯოს II საჯარო სკოლის პედკოლექტივი

იოსებ (კოლია) გიორგის ძე მირცხულავას გახსენება (სამამულო ომის ვეტერანი)

ათი წელია, რაც აღარ ხარ. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე. მოულოდნელად წახვედი ჩვენგან, ჩუმად, უხმაუროდ. ბუნებით მოკრძალებულს არავინ შეგიწუხებია. იყავი გამორჩეული პიროვნული თუ საქმიანი თვისებებით, ყოველთვის სიკეთის მთესველი და მეც გავყვები შენს მიერ დათესილ სიკეთის კვალს. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი შვილი ნათელა მირცხულავა

შავი



აცი

ინა

კითხვა გაქვთ?

როგორ მოხდება მოცემული საწვავის ხარჯად აღიარება?

გიპასუხებთ!

ნათელა ჭიაბერაშვილი,
აუდიტორული ფირმა შპს „გარანტის“ დირექტორი
599 512 461

ძალიან აქტუალურია საწვავის ჩამოწერის საკითხი, მაშინ როცა საწარმოს არა აქვს საკუთარი ტრანსპორტი და სასაწყობე მეურნეობა. საწარმოს ადმინისტრაცია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ამის უზრუნველყოფა შეასრულოს თანამშრომელმა საკუთარი ავტომანქანით. წინასწარ გაანგარიშებული საშუალო თვიური გარბენის საფუძველზე გასცემენ საწვავის ტალონებს. აღნიშნულ ხარჯს შემდგომში გამოქვითავენ მოგება-ზარალის ანგარიშიდან.

თუმცა ჩნდება კითხვა:

ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე მოხმარებული საწვავის ღირებულების ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ საწვავის შეძენა –გამოყენება დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტებით, რაც ნიშნავს შემდეგს:

1. საწვავის შეძენისას –შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობა;
2. საწვავის გაცემისას შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაცემის და გამოყენების დადასტურება;
3. საწვავის გახარჯვისას –შეძენილი და გაცემული საწვავის მიზნობრივად გამოყენების დადასტურება;

შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება მხოლოდ სპეციალური ნავთობ-პროდუქტების ანგარიშ-ფაქტურა, ხშირად მქონია შემთხვევა საწარმო წარმომიდგენს სალარო აპარატის ქვითარს საწვავის შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტად, რაც სწორი არ არის, სალარო აპარატის ქვითრით ხდება მხოლოდ გამყიდველის იდენტიფიცირება და არა მყიდველისა, ასევე, ქვითარში არ ჩანს, რა სახის საწვავი იქნა შეძენილი და რამდენი ლიტრი,ასე,რომ ჩეკი ვერ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს საწვავის შეძენის დასადასტურებლად.

საწვავის გამოსაქვით ხარჯად აღიარებისათვის გადამხდელი ვალდებულია საწვავის გაცემასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ისე აწარმოოს, რომ შესაძლებელი იყოს დადგენა:

ა) რომელი ობიექტის მიერ მოხდა საწვავის გახარჯვა;

ბ) გახარჯული საწვავის სახე და რაოდენობა;

საწვავი შესაძლებელია გაიცეს ანგარიშვალდებულ პირზე ტალონებით, პლასტიკური ბარათის გადაცემით, პირდაპირი ჩასხმით საკუთარი აგს—დან, საკუთარი ავზიდან პირდაპირი გადაცემით.

გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დადასტურების მიზნით გადამხდელს შეუძლია შემოიღოს “საგზურის ფურცელი” ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რითაც შესაძლებელი იქნება დავადასტუროთ, რომ აღნიშნული ტრანსპორტი ემსახურებოდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას, ხოლო საწვავის ხარჯის დამადასტურებლად უნდა აწარმოოს სატრანსპორტო საშუალების განვლილი მანძილის აღრიცხვის რეესტრი, სადაც დაფიქსირებული უნდა იქნეს ოდომეტრის ჩვენება თვეში არანაკლებ ერთხელ მაინც.

იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზეც საწვავის ხარჯი განისაზღვრება ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ოდომეტრის ჩვენება სავალდებულო არ არის.

იმ შემთხვევაში თუ საწვავის ხარჯვის ნორმები რეგლამენტირებული არ არის, საწვავი ჩამოიწერება ფაქტობრივი ხარჯვისა და ცალკეული მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. დასაშვებია ცდომილება, რომლის ფარგლებშიც საწვავზე გაწეული ხარჯი არ ექვემდებარება გაუქმებას, ხოლო ჩათვლილი დღგ-ს თანხა აღდგენას.

კერძოდ:

თუ სატრანსპორტო საშუალების გამოშვებიდან გასულია არა უმეტეს 5 კალენდარული წელი – 20%-იანი ცდომილება; სხვა შემთხვევაში 25%-იანი ცდომილება.

„ეთაპ, შენ ეს ჩემი ფიქრები გულ-მკერდზე დაიწერეთ!“

ლეილა არჩემაშვილი
551 735774

ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც ვაჟა-ფშაველას დაბადების 150 –ე წლისთავს მიეძღვნა და გომბორის საჯარო სკოლაში გაიმართა. ლიტერატურული საღამოს სულის ჩამდგმელი გახლდათ მეოთხე კლასის სერთიფიცირებული მასწავლებელი მარეხ დიდებაშვილი.

გომბორში, მრავალეროვანი, შეხმატკბილებული სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა მთიელები არიან. აქ განსაკუთრებულად უყვართ ვაჟა,აქ ყოველი დღე ქართული პოეზიის არწივისაა.

გომბორელ მოსწავლეებს სკოლაში ვაჟას კაბინეტი აქვთ და საიუბილეო სამზადისი სექტემბრიდან, სწავლის განახლებისთანავე დაუწყიათ: შეისწავლეს ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია, ლექსები, მოთხრობები, წერილები, მოაწყვეს თავიანთი ნახატების გამოფენა – „ვაჟას პერსონაჟები”.

სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასასრულს მეოთხეკლასელებმა დამრიგებლის, მარეხ დიდებაშვილის დახმარებით, ვაჟას პატივსაცემად, სკოლის სააქტო დარბაზი ფშაური ფარდაგებითა და ამ კუთხისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ნივთებით დაამშვენეს. ღონისძიებაზე მოიწვიეს პედაგოგები, მშობლები, უფროსკლასელები.

დაიწყო საღამო და ლოცვასავით გაისმა ვაჟას ლექსი „ჩემი ვედრება”,მას მოჰყვა „არწივი,” „ქეიფი,” „სიმღერა,” „საახალწლო’’.. მეოთხეკლასელებმა თათა ხუმარაშვილმა და მარიამ გოგნელაშვილმა ულამაზესად წარმოადგინეს ინსცენირება ლექსისა „ორი გმირი”. ვაჟას აფორიზმების ცოდნის გამომჟღავნებაში ხომ მთელი კლასი ჩაერთო.

მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოება შეახვედრეს ატირებულ შვლის ნუკრსა და მთის არწივს, ბახტრიონს მიმავალ ლელა ბაჩლელსა და კვირიას, გოგოთურსა და აფშინას, ბაკურს, გიგის, კაი ყმას...

გააცოცხლეს „ჩხიკვთა ქორწილის“ მათთვის საყვარელი ფრინველები და თხილის მოყვარე წრუწუნა.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს პატარა მსახიობებმა: ნინო და შმაგი არაბულებმა, თათა და ხატია ხუმარაშვილებმა, ვახტანგ ჯღუთაშვილმა, კვირია შეთეკაურმა, ლუკა წიკლაურმა, თათია ჭინჭარაულმა, თამარ ქონაშვილმა, ნათია ხიბლაშვილმა, გიორგი გაბინაშვილმა, მათე თუთლაშვილმა; მათ მსმენელთ წაუკითხეს მოგონებები ვაჟაზე. ქართველებთან ერთად მეოთხე კლასში სწავლობენ გომბორელი აზერბაიჯანელი და რუსი ბავშვები, რომელთაც მშობლიურ ენასავით შეიყვარეს ქართული და ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობაც მიიღეს. „ბახტრიონის“ გმირი კვირია შესანიშნავად განასახიერა აზერბაიჯანელმა მოსწავლემ ისმაილ მაქსიმოვმა; ხოლო მირზა მამედოვმა, მიხეოლ მოლჩანოვმა, მარიამ მაქსიმოვამ, რენატ მამედოვამ, სამირა მუსაევამ, რაშიდ ახმედოვმა,ჯულიეტა ჯაფაროვმა, მირნადი მირნადიევმა ვაჟას ლექსები წაუკითხეს მსმენელს და პერსონაჟებიც ლამაზად განასახიერეს.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნის პატივსაცემად ფშაურ ტანსაცმელში გამოწყობილი მეოთხეკლასელი გოგონები „ბუხარი“ ჩამოსხდნენ, საჩეჩელი და ტარ-ფარტენა მოიმარჯვეს და სადიაცო საქმეში გართულებმა კაფიაობა დაიწყეს.

ამ ლამაზი სანახაობის შემდეგ მეოთხე- და მეხუთე კლასელებს შორის გაიმართა ვიქტორინა „ვინ უკეთ იცის ვაჟას ბიოგრაფია?“ პასუხგაუცემელი კითხვა არ დარჩენილა, იმდენი რამ იციან მოსწავლეებმა ვაჟას შესახებ. ‘ბრძოლის“ შემდეგაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული და ამის გამო თითოეული მათგანი სკოლის დირექციის სიგელებით დაჯილდოვდა.

დასასრულ მარეხ დიდებაშვილმა მადლობა გადაუხადა პედაგოგებს: მზია არაბულს, თამარ ჩოლაგაურს, ზაზა ქისტაურსა და ელენე წივილაშვილს ამ ლამაზი საღამოს მომზადებაში დახმარებისათვის.

ლიტერატურული საღამო ისე ღრმად შინაარსიანი იყო, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სერთიფიცირებული მასწავლებლის მარეხ დიდებაშვილის მოსწავლეებთან თავდადებული მუშაობის შესახებ. მეოთხეკლასელები უკვე ნაზიარებნი არიან ვაჟას პოეტურ სამყაროს, მისი შემოქმედების სიდიადესა და თავისებურებას, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის მიმართებას, ზეპირად იციან პოეტის კეთილშობილური აზრები და აფორიზმები.

ვაჟა „საახალწლო ფიქრებში“ წერს: „ამ ახალ-წლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად... საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად, რაც-კი შეგვიძლია...

თუ ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარ შინაურ საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით“.

შეუსრულა მთამ ვაჟას თხოვნა, მისი ფიქრები გულ-მკერდზე დაიწერა და მარეხ დიდებაშვილი ის მასწავლებელია, რომლის თავდაუზოგავი შრომითაც მის მოსწავლეებს ამ ფიქრების წაკითხვა და გააზრება შეუძლიათ.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488